

თავი 10

კონკურენცია

მუხლი 203

პრინციპები

მხარეები აცნობიერებენ თავისუფალი და შეუზღუდავი კონკურენციის მნიშვნელობას თავიანთ სავაჭრო ურთიერთობებში. მხარეები აღიარებენ, რომ ანტიკონკურენციული ბიზნეს ქმედებები და სახელმწიფო ჩარევა (მათ შორის სუბსიდიების სახით) ქმნის ბაზრების ნორმალური ფუნქციონირების შეზღუდვის შესაძლებლობას და ამცირებს ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან გამომდინარე სარგებელს.

მუხლი 204

ანტიტრასტული და შერწყმების მარეგულირებელი კანონმდებლობა და მისი განხორციელება

1. მხარეებს მათ შესაბამის ტერიტორიაზე უნდა გააჩნდეთ ყოვლისმომცველი კონკურენციის კანონები, რომლებიც ეფექტიანად იქნება მიმართული ანტიკონკურენციულ შეთანხმებებზე, შეთანხმებულ ქმედებებსა და დომინირებული საბაზრო ძალაუფლების მქონე კომპანიების ერთპიროვნულ ანტიკონკურენციულ ქმედებაზე და რომლებიც ითვალისწინებს შერწყმების ეფექტიან კონტროლს, თავისუფალი კონკურენციის მნიშვნელოვანი შეზღუდვისა და დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით.
2. მხარეებს უნდა გააჩნდეთ ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კონკურენციის კანონების ეფექტიან აღსრულებაზე პასუხისმგებელი და შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო.
3. მხარეები აცნობიერებენ თავიანთი კონკურენციის კანონების გამოყენებისას საჯაროობისა და არადისკრიმინაციულობის დაცვის მნიშვნელობას პროცედურული სამართლიანობის პრინციპისა და მხარეთა დაცვის უფლების გათვალისწინებით.

მუხლი 205

სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები და საწარმოები სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებებით

1. ამ თავში მოცემული დებულებები არ ზღუდავს მხარეებს, რომ შექმნან ან შეინარჩუნონ სახელმწიფო მონოპოლიები, სახელმწიფო საწარმოები ან მიანიჭონ საწარმოს სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებები თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. კომერციულ სახელმწიფო მონოპოლიებთან, სახელმწიფო საწარმოებთან და სპეციალური ან ექსკლუზიური უფლებების მქონე საწარმოებთან მიმართებაში თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს ასეთ საწარმოებზე 204-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კონკურენციის კანონების გავრცელება ისე, რომ კანონების აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს, კანონით ან ფაქტობრივად, ამ საწარმოების მიერ მათთვის დაკისრებული ცალკეული საზოგადოებრივი მნიშვნელობის ამოცანის შესრულებას.

მუხლი 206

სუბსიდიები

1. ამ მუხლის მიზნისთვის „სუბსიდია“ არის ღონისძიება, რომელიც აკმაყოფილებს სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმების პირველი მუხლით განსაზღვრულ პირობებს მიუხედავად იმისა, სუბსიდია გაცემულია საქონლის წარმოებისათვის თუ მომსახურების მიწოდებისათვის და რომელიც განსაზღვრულია აღნიშნული შეთანხმების მე-2 მუხლით.
2. თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს საჯაროობა სუბსიდიების სფეროში. ამ მიზნის მისაღწევად, თითოეულმა მხარემ მეორე მხარეს 2 წელიწადში ერთხელ უნდა მიაწოდოს ანგარიში იმ სუბსიდიის სამართლებრივი საფუძვლის, ფორმის, ოდენობის ან ბიუჯეტის და სადაც შესაძლებელია, სუბსიდიის მიმღების შესახებ, რომელიც გაცემულია მისი მთავრობის ან ნებისმიერი საჯარო დაწესებულების მიერ საქონლის წარმოებასთან მიმართებაში. ანგარიში წარდგენილად ითვლება, თუ შესაბამისი ინფორმაცია განთავსებულია თითოეული მხარის მიერ საჯაროდ ხელმისაწვდომ ვებ-გვერდზე.
2. მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე მხარემ დროულად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია და გასცეს პასუხი ცალკეულ სუბსიდიასთან დაკავშირებულ კითხვებს, თუ სუბსიდია ეხება მომსახურების მიწოდებას.

მუხლი 207

დავების მოგვარება

დავების მოგვარების მექანიზმის ნორმები, რომლებიც მოცემულია ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-14 თავში (დავების მოგვარება) არ ვრცელდება ამ შეთანხმების 203-ე, 204-ე და 205-ე მუხლებზე.

მუხლი 208

ურთიერთმიმართება ვმო-სთან

ამ თავში მოცემული დებულებები ზიანს არ აყენებს მხარის უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობს ვმო-ს შეთანხმებიდან, კერძოდ, სუბსიდიებისა და საკომპენსაციო ზომების შესახებ შეთანხმებიდან და დავების მოგვარების პროცედურებიდან (DSU).

მუხლი 209

კონფიდენციალობა

ამ თავით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლისას, მხარეებმა უნდა გაითვალისწინონ მათ იურისდიქციაში მოქმედი შეზღუდვები, რომლებიც უკავშირდება პროფესიული და კომერციული საიდუმლოების მოთხოვნებს.